

**საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები გალში**  
**(გალის რაიონის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)**

**ნინო ხარჩილავა**

ისტორიის დოქტორი, ცხუმ-აფხაზეთის  
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს გიორგი  
ჩიტაიას სახელობის ეთნოლოგიის ინსტიტუტის  
სწავლული მდივანი, უფროსი მეცნიერ-  
თანამშრომელი, სსიპ - ბათუმის ხელოვნების  
სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების  
მართვის დეპარტამენტის უფროსი  
E-mail: kharchilavanin@gmail.com

*წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს გიორგი  
ჩიტაიას სახელობის ეთნოლოგიის ინსტიტუტმა*

**აბსტრაქტი.** გალის რაიონის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის შესწავლისას საინტერესო სურათს იძლევა მოსახლეობის ტრადიციული საცხოვრებლისა და სამეურნეო ნაგებობათა გაცნობა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გეოგრაფიული გარემოს, ბუნებრივი კლიმატის, მეურნეობის წამყვანი დარგების გათვალისწინებით შემუშავდა და ჩამოყალიბდა საცხოვრისის თავისებური ტიპი. თავდაპირველად საცხოვრებლისა და სამეურნეო ნაგებობების ფორმები პრიმიტიული იყო, მაგრამ დროთა ვითარებაში, იგი რთულდებოდა და ვითარდებოდა. საცხოვრებელი, როგორც მასში მცხოვრები ადამიანის სამოქმედო არეალი, ეპოქის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე მუდმივად განიცდიდა ცვლილებებს. განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ცხოვრებისეული გამოცდილების გაღრმავებასთან ერთად საცხოვრებელ კომპლექსს გარკვეული ტრადიციული და მყარი ფორმების გარდა ახალი ელემენტები ემატებოდა, ხოლო ზოგიერთი აკლდებოდა.

ეთნოლოგიურმა კვლევამ დაადასტურა, რომ აფხაზეთში საცხოვრებლის ტიპი საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული ტრადიციული ელემენტებით

გამოირჩევა. ნაგებობანი უმეტესად ხის კონსტრუქციისაა. დროთა განმავლობაში ცვლილებები განიცადა და კომბინირებული ხასიათი აქვს - ქვითკირი და ხემასალა ერთად არის გამოყენებული. ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჩვენს მიერ, ინდივიდუალურად მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალა ყოფისა და კულტურის სფეროდან გამორჩეულად საინტერესოა. თანამედროვე აფხაზეთში ქართული მოსახლეობა რეალურად, ყველაზე მეტად რაოდენობრივად გალის რაიონში წარმოგვიდგება. ამ მხარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის შესწავლისას საინტერესო სურათს იძლევა ტრადიციული საცხოვრებლისა და სამეურნეო ნაგებობათა გაცნობა.

ნაშრომის მიზანია ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით წარმოვაჩინოთ თანამედროვე გალის რაიონში შემორჩენილი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები. სავსე სამუშაოების დროს მოხერხდა მოსახლეობაში გარკვეული ინფორმაციის შეგროვება, რომელიც ადგილობრივების მეხსიერებაში ჯერ კიდევ შემორჩენილია და ეთნოგრაფიულ და არქტიტექტურულ საისტორიო წყაროს წარმოადგენს. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების შესწავლა და მსგავსება-განსხვავებების დადგენა ქართულ-აფხაზური საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ-აფხაზური მოსახლეობის კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის შედეგად გარკვეული ელემენტების სესხებისა და ურთიერთგაზიარების შემთხვევებიც შესაძლებელი უნდა ყოფილიყო. ამაზე მეტყველებს ტერმინების სესხების მაგალითები ქართულიდან (მეგრულიდან) აფხაზურში და პირიქით, რაც კულტურულ-ისტორიული გავლენის გარეშე ვერ მოხდებოდა.

*საკვანძო სიტყვები: აფხაზეთი, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, კარ-მიდამო.*

სამხრეთ კავკასიის და მათ შორის საქართველოსთვის დამახასიათებელი მრავალფეროვანი ბუნებრივი გარემო და კლიმატური პირობები უძველესი დროიდან ადამიანისათვის სხვადასხვაგვარ საცხოვრებელ გარემოს ქმნიდა, შესაბამისად, განაპირობებდა განსხვავებული ტიპის საცხოვრებელთა წარმოშობასა

და განვითარებას. ზოგადად, ამა თუ იმ რეგიონის დასახლების იერსახეზე გავლენას ახდენს ბუნებრივი პირობები, რაც განსაზღვრავს მის კულტურულ და ეკონომიკურ თავისებურებებს. ამან გადამწყვეტი როლი ითამაშა როგორც სამეგრელოს, ასევე მთლიანად კოლხეთის დაბლობის დასახლების ფორმაზე, მისი გაშლილ-გაფანტულად ჩამოყალიბების თვალსაზრისით. კოლხეთის დაბლობის დაჭაობებული რელიეფის გამო აქ მცხოვრებ ადამიანს საუკუნეების განმავლობაში უხდებოდა ბრძოლა ჭაობთან და სამოსახლოდ ირჩევდნენ ისეთი მიკროგარემოს, რომელიც ცხოვრების უზრუნველსაყოფად უფრო ხელსაყრელი იყო.

საცხოვრებელი ბინის ტიპი, მატერიალური კულტურის სხვა ობიექტებთან შედარებით, უფრო გამძლე და კონსერვატიული მოვლენაა ხალხთა ცხოვრებაში, ისევე როგორც საოჯახო ყოფა საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე კონსერვატიულ ელემენტს წარმოადგენს, სადაც გაცილებით გვიან აისახება მიმდინარე ცვლილებები, ვიდრე საზოგადოებრივ ურთიერთობათა სხვა ფორმებში [გუგუშვილი, 1976:103]. საქართველოს ეთნოგრაფიული კუთხეების მაგალითზე, როგორც დასახლება, ასევე საცხოვრებელი ნაგებობა, შეესაბამება მხარის კულტურულ, ეკონომიკურ და კლიმატურ პირობებს.

კოლხეთის ბუნებრივი პირობების თავისებურება, მდიდარი ტყის საფარი ხით ხურობის მრავალფეროვანი დარგების განვითარების კარგ საფუძველს წარმოადგენდა. აფხაზეთის ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებთანაა დაკავშირებული დიდი ტყიანობა, მისი ტერიტორიის ნახევარზე მეტი დაფარულია ტყით და ბუჩქნარით. აფხაზეთში ტყიანობის მხრივ გალის, ოჩამჩირისა და სოხუმის რაიონები გამოიყოფოდა, ხოლო ტყიანობის მაჩვენებლებით აფხაზეთს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია საქართველოში [დევიძე, 1996:132]. სამშენებლო მასალებიდან საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებისთვის უპირატესად გამოყენებული იყო ხე [კვაშილავა, 2018:59]. წნული ნაგებობისათვის გამოიყენებოდა წნელი. სასარეოდ ძირითადად აკაცია გამოიყენებოდა. სახურავად ისლი, ყავარი, კრამიტი. ისლით სამეურნეო ნაგებობებს ხურავდნენ. სამშენებლოდ საჭირო მასალა მოჰქონდათ მახლობელი ტყიდან. ქვას იყენებდნენ სახლის სადგარებად, კიბის საფეხურებად, სახლისა და სასიმიინდეს სვეტებად.

XVII საუკუნეში დასავლეთ საქართველოსთვის დამახიასათებელი იყო საცხოვრებელი კომპლექსი, რომლის შემადგენელი ელემენტები - საკუთრივ საცხოვრებელი, სამეურნეო და დამხმარე დანიშნულების სადგომები - ერთმანეთისაგან განცალკევებული იდგა, დამოუკიდებელ შენობებს წარმოადგენდა და გარკვეული ინტერვალებით იყო განლაგებული ეზოს ფარგლებში [არქანჯელო ლამბერტი, 1938:35].

XIX საუკუნეში კ. ბოროზდინი მეგრულ სოფელს ასე ახასიათებს: „სამეგრელოს სოფლებში ძნელი იყო გზა-კვალის გაგნება. ამ სოფლებს საერთო არაფერი აქვთ ველიკო-რუსულ სოფლებთან: აქ არ არის მთლიანი მოსახლეობა და აღარც საერთო მფლობელობა მიწისა. თითოეული მოსახლეობა თავისთვის ეწევა მეურნეობას. ყოველი მოსახლე გაცალკევებით ცხოვრობს და ეზო ყურეებისათვის მაღალი ღობე უვლია, ეკლით შემობლანდული და ყოველივ ეს ჩაფლულია ბუჩქნარებში და ხეებში, რომელზედაც გადახლართულია ვაზები. სოფელი უზარმაზარ სივრცეზეა გაშლილი და მის ურიცხვ ბილიკებზე მხოლოდ აქაურ მკვიდრს არ ექცევა მხარი. მებატონეთა საცხოვრებელი გლეხების საცხოვრებელშია არეული და იმ დროს გარეგნობით ერთმანეთისაგან ვერაც კი გაარჩევდა კაცი - ყველა ესენი უბრალო ფაცხები იყვნენ [ბოროზდინი, 1934:145].

XIX საუკუნეში უკვე სახეზეა კარმიდამოს ფუნქციური დაყოფაც - „წინა“ და „უკანა“ ეზოებად. წინა ეზო - სუფთა და დეკორაციულია - საყვავილე ბაღით და ჩრდილის მომცემი ხეებით, ლამაზად გაფორმებული ალაყაფით. უკანა ეზო კი სამეურნეო დანიშნულებას იღებს, სახლის ამ მხარეს შენდება სამზარეულო სახლი, ბოსელი და სხვა.

მეგრულ სოფელში XX საუკუნის პირველ ნახევარშიც, იგივე მდგომარეობა ჩანს, როდესაც თ. სახოკია, სამურზაყანოს სოფლის მოსახლეობის განთავსებაზე შენიშნავს: „თავისებურია სამურზაყანოს სოფელი, ძირეული განსხვავებაა აქაურსა და აღმოსავლეთ საქართველოს სოფელს შორის. იმ დროს, როცა ქართლის ერთმანეთზე მიყრილ სახლებს სულ მეოთხედი საათის განმავლობაში შემოუვლის კაცი, აქ მთელი ორი საათია საჭირო, რომ სოფლის ერთი ბოლოდან მეორე ბოლოში გაატანოთ. უჩვევი კაცი თუ აქ ჩავარდება, ვეღარც კი იფიქრებს, რომ სოფელშია. წინ ტყეა, უკან კიდევ ტყე. ორივე მხარესაც იგივე ტყე არტყიათ. აქა-იქ ტყე გაკაფულია

და სიმინდის ყანაში სამურზაყანოს სახლის ყავრული სახურავი მოჰჩანს. იშვიათად ნახავთ ორ-სამ სახლს, რომ ერთმანეთისაგან ღობე ყოფდეს [სახოკია, 1985:263-264]. იგივე დასტურდება უცხოელი მოგზაურების ცნობებით, რომ დასახლების ფორმა სამურზაყანოში, ისევე, როგორც დასავლეთ საქართველოში, სამეგრელოს მსგავსია [ბოროზდინი, 1934:145; დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, 1964:47-49; ჟან შარდენი, 1975:116].

ჩვენამდე მოღწეული ტრადიციული ქართული საცოვრებელი სივრცე და შენობა-ნაგებობები საკმაოდ ხანგრძლივი წარსულის მქონე, თავისებური და მრავალგვარია. მათ ამ მრავალფეროვნებას საქართველოს თითოეული კუთხის გარემო-პირობები და ყოფაცხოვრება, სამეურნეო და კულტურული თავისებურებები განაპირობებდა. საცხოვრებელი გარემო/მიდამო ან ვითარდებოდა, ან კნინდებოდა, ყოფაცხოვრების და გარემო ხელშემწყობ-ხელშემშლელი პირობების შესაბამისად. სახლი საკარმიდამო სივრცის მთავარი ნაგებობაა, თუმცა იგი ყოველთვის მოიაზრებოდა სხვა სამეურნეო და დამხმარე ნაგებობებთან ერთიან კომპლექსში. თავის მხრივ კარმიდამოს დაგეგმარებაშიც ითვალისწინებდნენ დასახლებისა და გეოგრაფიის თავისებურებებს.

სამურზაყანოში დასახლების ძირითად ელემენტს, როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში და მასთან ერთად აფხაზეთში, საკარმიდამო კომპლექსი წარმოადგენდა. მაგრამ, მატერიალური კულტურა, ე. ი. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები ისტორიული სამურზაყანოს მთელ ტერიტორიაზე, მდინარე ღალიძგიდან მდინარე ოხურეის ტერიტორიის ვიწრო ზოლის ჩათვლით, დასახლების მეგრული ფორმისაგან არ განსხვავდებოდა [ბახია-ოქრუაშვილი, 2010:325]. ცნობილია, რომ „ხანგრძლივი ტრადიციის მქონე დასახლებულ პუნქტებში საცხოვრებელი კომპლექსები, როგორც წესი, ფეხდაფერ ვერ მისდევენ სოციალურ პროგრესს და მას რამდენადმე მუდამ ჩამორჩებიან. ამიტომ საცხოვრებელი კომპლექსები სანდო წყაროს წარმოადგენენ დასახლებული ფორმების, მატერიალური კულტურისა და სოციალური ორგანიზაციის ისტორიის შესწავლისათვის“ [Робакидзе, 1964:21-26]. ს. ბახია-ოქრუაშვილის ცნობით დასახლების ფორმა და მატერიალური კულტურა ისტორიულ სამურზაყანოში, თავისი კონსერვატიულობით გამოირჩეოდა და აშკარად ქართველურ ხასიათს

ატარებდა. XVIII საუკუნეში აფხაზეთიდან ჩამოსახლებულმა მოსახლეობის უმეტესობამ მეგრელებისაგან თითქმის დაცარიელებული სამოსახლოები და საცხოვრებელი ნაგებობები დაისაკუთრა. ცხადია ადგილობრივ მოსახლეობას რეგიონის ბუნებრივ-გეოგრაფიული თავისებურებები ძველთაგანვე ათვისებული ჰქონდათ, ამიტომ გააფხაზებული მეგრელებისა და აფხაზების ჩამოსახლების შემდეგ აფხაზური დასახლების სპეციფიკური ფორმები სამურზაყანოს საკარმიდამო კომპლექსის სტრუქტურას არ შეხებია [ბახია-ოქრუაშვილი, 2010:325-326].

ჩვენთვის საინტერესო რაიონში ტრადიციული საცხოვრებლის და სამეურნეო ნაგებობების რამდენიმე ტიპმა მოაღწია. ესენია: წნულკედლიანი საცხოვრებელი (ფაცხა), ძელური საცხოვრებელი - ჯარგვალი, პიტაფიცარა და ოდა-სახლი.

წნულკედლიანი საცხოვრებელი ფაცხა მიჩნეულია საცხოვრებლის ერთ-ერთ უძველეს ტიპად. იგი თითქმის XX საუკუნის 40-50-იან წლებამდე ფუნქციონირებდა საქართველოში. ფაცხის ორი ქვეტიპი გამოირჩევა: წრიული მოხაზულობის და სწორკუთხოვანი. წრიული მოხაზულობის წნული საცხოვრებელი ერთგანყოფილებიან, მცირე მოცულობის ნაგებობას წარმოადგენდა, ხოლო სწორკუთხოვანი მოხაზულობის წნული საცხოვრებელი რამდენიმე ქვეტიპითაა წარმოდგენილი: კვადრატთან მიახლოებული, კუთხეებმომრგვალებული ფაცხა, სწორკუთხოვანი ფაცხა, ანფიდალური სწორკუთხოვანი, უსამირკველო და ხის სამირკველზე გამართული საცხოვრებელი.

ძელური საცხოვრებელი ჯარგვალი მრგვალი ძელებისგან ნაშენ ნაგებობას ეწოდებოდა. ჯარგვალს აგებდნენ, როგორ უაივნოდ, ისე უმოაჯირო აივნით. იატაკი მიწური იყო, ხოლო სახურავს ისლით ან ყავრით ხურავდნენ. ჯარგვალი ხშირად ორგანყოფილებიანი იყო. ერთი სათავსოს, ხოლო მეორე ოჯახის საცხოვრებელს წარმოადგენდა. ჯარგვალში მთელი ოჯახი ცხოვრობდა, შუაში ჰქონდა კერა, რომელსაც იყენებდნენ საჭმლის მოსამზადებლად, გასათბობად და საოჯახო რიტუალების ჩასატარებლად. კედლის გასწვრივ იდგა საწოლი. მოგვიანებით ამ შენობას უფრო სამზარეულოს დანიშნულება შერჩა („ქუხნა“, როგორ რუსულის გავლენით დღემდე უწოდებენ) და მის მიმდებარედ საკარმიდამოში დაიწყეს უფრო დიდი ზომის საცხოვრებლის აშენება. რესპოდენტების ცნობით ფიქსირდება

სამგანყოფილებიანი ჯარგვალიც, სადაც ერთი ოთახი საძინებელს წარმოადგენდა. თუ ოჯახი მრავალსულიანი იყო, შეიძლებოდა ეზოში 2 ან 3 ჯარგვალიც ყოფილიყო. ერთ-ერთი რესპოდენტი, იმასაც აფიქსირებს, რომ ვისაც შეეძლო ჯარგვალშიც აკეთებდნენ ბუხარს [ასედ, 2024]. აფხაზეთში სასტუმროდ განკუთვნილი ჯარგვლის მშენებლობის ტრადიციაა დამოწმებული. ამ მიზნით აშენებულ ორასათავსიან ნაგებობაში ერთი ოთახი საძინებლად გამოიყენებოდა, მეორე - საჯინიბოდ [ქალდანი, 1990:12-13].

პიტაფიცარა - ხის მოკლე ფიცრებით (პიტა - მოკლე ფიცარი) იყო აგებული. პიტა-ფიცრის საფუძველი ქვებზე დაწყობილი ერთმანეთთან ჭდობით ჩამაგრებული ძელებისგანაა შედგენილი. ძელებში ამოჭრილ ღრმულებში ვერტიკალური დგარებია (ბოყვი) ჩასმული, რომელთა ორი მხარე ღრმადაა ამოღებული. ბოყვებს შორის ღარებში ეწყობოდა ფიცრები. ბოყვების თავზე დამაგრებულ სარტყელზე (ორტყაფ) - სახურავი კონსტრუქციაა მოწყობილი. კედელში გასახედი ხვრელი უკეთდებოდა, რომელსაც ოჭკორიე (ჭუჭრუტანა სათვალთვალო, ფიცრებს შორის დარჩენილი არე) ეწოდებოდა. რესპოდენტთა ცნობით: ძველ სახლს ცალი თვალით გასახედად ჰქონდა პატარა გამოჭრილი, რასაც ოჭკორიეს ეძახდნენ. ასევე მცირე ზომის სასინათლო ღიობიც უკეთდებოდა [ასედ, 2024]. პიტაფიცარა ჩვეულებრივ ერთი, ორი ან სამგანყოფილებიანიც შეიძლებოდა ყოფილიყო.

დასავლეთ საქართველოს ოდა-სახლმა ჩამოყალიბებული სახე XIX საუკუნეში მიიღო [ბერიძე, 2014:544]. გალის რაიონში დღემდეა შემორჩენილი ოდა-სახლები, რომლის განვითარების წინა ეტაპი იყო ჯარგვალი. ოდა-სახლი ერთსართულიანი ხის სახლია, ძირითადად ფიცრილია. უმეტესად ის ხის ან ქვის დაბალ ბოძებზე (ძეკვენ - ძელი, მორი, ბოძი) დადგმული სახლია. ოდა-სახლი, წარმოადგენს ხის ერთსართულიან, ქვის ბოძებზე დაფუძნებულ, ანდა ქვემოთ ქვის, ზედა სართულზე კი ხის ე. წ. „პალატთან“ ნაგებობას. მასში არსებითი როლი ენიჭება დიდი ზომის მრავალფუნქციურ აივანს [ლუქავა, 1997:13]. ოდას-სახლს, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გავრცელდა ხის ბოძებზე შემდგარი ოდა სახლი იყო, რომელსაც აფხაზურად „აკუასკა“ ეწოდებოდა. ცხადია, ოდა-სახლი ქართულ-აფხაზური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის შედეგი იყო. იგი დასავლურ ქართული

ოდა-სახლის ტიპს განეკუთნებოდა, რომელსაც იატაკი, ჭერი, გადახურვა, სარკმელები და საცხოვრებლისათვის საჭირო ყველა ატრიბუტი გააჩნდა [ზახია-ოქრუაშვილი, 2011:50].

ოდა-სახლის ჭერი და იატაკი ხის კარგად გარანდული ფიცრითაა მოწყობილი, რაც მისი ბუნებრივი განიაგებისათვის საუკეთესო შესაძლებლობას იძლეოდა. სახურავი ოთხფერდაა და გადახურული იყო ყავრით, ისლით ან კრამიტით. კრამიტის სახურავები XIX საუკუნის ბოლოდან გავრცელდა. მისი გეგმა ძირითადად კვადრატულია, ძალზე იშვიათად წაგრძელებული. კერა საცხოვრებლის ამ ტიპში ორნამენტირებული ბუხრითაა შეცვლილი. სახლს, როგორც წესი, მზიან მხარეს ერთი ან ორი აივანი ჰქონდა. აივნის მოაჯირი და ჭერქვეშა ნაწილი უმეტესად ჩუქურთმებით იყო მორთული. აივანზე ხდებოდა საშინაო და სამეურნეო საქმეების მოგვარება და ჭირნახულის დასაბინავებლად მომზადება. დროთა განმავლობაში ოდა-სახლის ოთახების რაოდენობა მატულობს და ჩნდება დერეფანი.

ოდა-სახლს ჰქონდა ბირკული//ბრიკული - „რიკული, მოაჯირი“ [ჭარაია, 1997:42], რომელიც საქართველოს სხვა კუთხეების საცხოვრებელი ნაგებობისთვისაც იყო დამახასიათებელი [ჯანაშია 1954:76; ღლონტი, 1984:75; გულია, 2004:12; Шакрыл, 1986:97; Дзидзария, 1989:16]. ხოლო ზოგი ფიქრობდა ეს ტერმინი აფხაზურში შესულია მეგრულიდან [Шагиrow, 1989:149; Дзидзария, 1989:47]. გალის რაიონში დავაფიქსირეთ შუშა-ბანდიანი - მომინული აივნით ოდა-სახლები [ასედ, 2024].

სახლის აბარწა - აივანი თავისი გაფორმებით, სწორედ ის ერთ-ერთი გამორჩეული დეტალია, რომლითაც აქაურ საცხოვრისს გამოარჩევდა თუნდაც საქართველოს სხვა კუთხეების სახლებისგან. აივანს სახლში აქვს როგორც მოსასვენებელი ფუნქცია, კედლებზე მიჭედებული ან მყარად ჩასმული ერთგვარი განიერი ტახტი. ის არა მხოლოდ საწოლია, არამედ დღის განმავლობაში დასასვენებელიც იყო. ტერმინი აბარწა ნასესხობის სახით გვხვდება არამხოლოდ აფხაზურში [ჯანაშია, 1954:63; Кипшидзе, 1914:191) არამედ ლეჩხუმურშიც [ჯავახიშვილი, 1976:359].



ოდა-სახლის განვითარების ბოლო ეტაპზე ჩნდება ორსართულიანი ნაგებობა, რომლის პირველი სართული მეტწილად ქვით აწყავდათ, გალის რაიონში რესპოდენტები მიუთითებენ, რომ მათი სახლი პირველად იყო ერთსართულიანი ბოძებზე შემდგარი ოდა-სახლი და XX საუკუნის 70-იანი წლებიდან მისი პირველი სართული ქვის გახდა. აგრეთვე მიუთითებენ იმასაც რომ ოდა-სახლის ერთი ადგილიდან მეორეში გადატანა ხშირად ხდებოდა. ოდა-სახლს უკანა ოთახის სწორზე ჰქონდა პატარა ოთახი, რომელსაც კლადაო - საკუჭნაო [ქაჯაია, 2002:293] ერქვა, რომელიც პროდუქტებისა და სხვა ნივთების შესანახ მცირე სათავსოს ფუნქციას ასრულებდა.

ოდა სახლში კარის საკეტი იყო რაზა - კარის ან ფანჯრის დასაკეტი რკინა, რომელიც გადაეცემა კოჭას [ქეგლ, VI:354], რომელიც საქართველოს სხვა კუთხეებშიც ნაგებობის კარის საკეტად ფიქსირდება [ჭარაია, 1997:115; თოფურია, 2000:688; Касландзия, 2005:99].

თანამედროვე ყოფაში თითქმის ყველა ოჯახში ფიქსირდება - საბზადიმ ცუდე - სამზარეულო, სამზადი სახლი, ძველად იყო ორთველიანი ქუხნა-სახლი. ერთი თვალი გათვალისწინებული იყო საჭმლის დასამზადებლად, ხოლო მეორე იატაკდაგებული, დასამინებლად. დღეს საბზადი არის ერთოთახიანი, რომელსაც შეიძლება უკანა მხარეს მოდგომილიც ჰქონდეს.

გალის რაიონში, ისე როგორც დასავლეთ საქართველოში საცხოვრებელი კომპლექსი შედგებოდა ცალკეული შენობებისაგან - საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, რომლებიც მოთავსებულია ეზოში. ეზო, შემოსაზღვრული ადგილია, სადაც განლაგებულია საცხოვრებელი, სამეურნეო და სხვა დანიშნულების ნაგებობანი. ტერმინი ეზო ქართულ ენაში გამოიყენება საცხოვრებელი სახლის გარშემო მდებარე საკარმიდამო ნაკვეთის აღსანიშნავად [ქეგლ, III, 1953:1287]. კარმიდამოს ძირითად ელემენტს ეზო წარმოადგენს, რომელიც დანიშნულების მიხედვით რამდენიმე ნაწილად შეიძლება დაიყოს: წინა და უკანა ეზო. საცხოვრებელი კარ-მიდამო შემოსაზღვრული იყო ღობით - ღანდა [ქაჯაია, 2002:165], რომელიც მეგრულში შემოსულია აფხაზურიდან [ჯანაშია, 1954:14].

სახლის სამშენებლო ადგილის შერჩევასაც ერთ-ერთ განმსაზღვრელს წარმოადგენს ეზოს სავარაუდო ნაწილები. სახლი ისე უნდა დამდგარიყო, რომ მის

ირგვლივ დარჩენილიყო ადგილი აღნიშნული ეზოებისათვის. სახლი მუდამ წინა და უკანა ეზოს შორის იყო მოქცეული. კარმიდამოს კომპლექსში მთავარი ოდა-სახლია. ნაგებობათა განლაგებაში საცხოვრებელ სახლს წამყვანი ადგილი ეკავა. იგი ხშირ შემთხვევაში ეზოს ცენტრშია წარმოდგენილი. სახლის ფასადი ყოველთვის მიქცეული იყო კოინდრით დამშვენებული სუფთა ეზოსკენ [ზახია-ოქრუაშვილი, 2022:24], რომელიც საჩრდილობელი და ნაყოფის მომცემი ხეებით იყო დამშვენებული. ხის ჭიმკარი კრამიტით იყო გადახურული ორფერდად. თუ კარმიდამოს ახლოს მდინარე ჩამოუდიოდა, ეზოს კომპლექსში წისქვილიც შედიოდა. თუ თვალს გადავაკლებთ საცხოვრებელი სახლის წარმოშობა-განვითარების ისტორიას, დავინახავთ რომ უფრო უძველესი შუა ცეცხლიანი ფიცრის სახლი, რომელიც შემდგომში როცა ოდა ტიპის სახლი შეიქმნა, იგი დამხმარე ნაგებობად იქცა და ე. წ. „საზადის“ სახელწოდებით შემორჩა კარმიდამოს საცხოვრებელ კომპლექსს. ეს სამზადისი ანუ სამზარეულო დღესაც ამშვენებს მრავალ კარმიდამოს.

სამეურნეო ნაგებობა, რომლის დაგეგმარება და მშენებლობა განხორციელებულია სამეურნეო ნივთების/იარაღების, საქონლის, ფრინველის, სხვადასხვა პროდუქტების მოსათავსებლად. ეს ნაგებობა არ გამოიყენება ადამიანის საცხოვრებლად. მარანი საცხოვრებელი სახლის გვერდით, კერძოდ მის აღმოსავლეთით შენდებოდა, რომელსაც სამეურნეო და საყოფაცხოვრებო მნიშვნელობის გარდა, საუკუნეების მანძილზე სარწმუნოებრივი თვალსაზრისითაც უდიდესი დატვირთვა გააჩნდა [ზახია, 1982:190]. ეთნოგრაფიული მონაცემებით მარანი ზოგადქართული ტერმინია და იგი ამავე ფორმითაა დღეს გალის რაიონის ტერიტორიაზე დადასტურებული. ხანდაზმულთა მეხსიერებაში შემონახულია ამ სიტყვის მეგრული შესატყვისი ოლაგვანე - საქვევრე, რომელიც ნაწარმოებია სიტყვა ლაგვანისაგან. გამოიყოფა მარნის ორი ტიპი: ღია და დახურული, რაც ზოგადად, დასავლეთ საქართველოსთვის ფართოდ იყო დამახასიათებელი [თოფურია, 1968:75].

გალის რაიონში ოჭკადირე - სამჭედლო საკულტო ადგილად იყო მიჩნეული და შესაბამისად ჭკადუ-ს - მჭედელს განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდნენ, სამჭედლოს ნასადგურევიც კი ბოლო დრომდე წმინდა ადგილად

ითვლებოდა. ოქკადირე - სამჭედლო ძირითადად წნული ნაგებობა იყო (იკოდნენ ფიცრულიც). სამჭედლოში აღმოსავლეთის კედელთან საკულტო კერია იყო მოწყობილი, იქვე ახლოს ჩამარხული იყო საზედაშე ქვევრი - სახეხუჯო. სამჭედლო, როგორც სამეურნეო და საკულტო ობიექტი დიდი ოჯახის დაშლისა და ქონების გაყოფის შემდეგ საგვარეულოს საერთო საკუთრებაში რჩებოდა [ასედ, 2022].

აფხაზებში სამჭედლო, როგორც საკულტო ნაგებობა დიდი ოჯახის სემენტაციის შემთხვევაში პატრონიმის საერთო მფლობელობაში რჩებოდა. ქურდობის ან სხვა რაიმე დანაშაულის შემთხვევაში დამნაშავეს ღვთაებას გადასცემდნენ დასასჯელად, ხალხის რწმენით, ღვთაება შაში ბოროტებას დაუსჯელს არ დატოვებდა, ხოლო ღვთაება „შაშვს“ და „აბიფარას“ წევრებს შორის შუამავალი იყო მჭედელი, რომელსაც ქურუმის ფუნქციაც ჰქონდა მინიჭებული [ზახია-ოქრუაშვილი, 2011:123]. სამჭედლოში აღმოსავლეთის მხარეს საკულტო კერა იმართებოდა. კედელთან კი მიწაში საზედაშე ღვინით სავსე ქვევრი იყო მიწაში ჩაფლული. ახალი წლის დილას, უხუცესი, პატრონიმის ხელმძღვანელი საკულტო სამჭედლოს ზვარაკს სამჯერ შემოატარებდა, სახით აღმოსავლეთისკენ მიაბრუნებდა, სათითაოდ ოჯახის ყველა წევრს დალოცავდა და ზვარაკს დაკლავდა.

სამურზაყანოში ახალდაქორწინებულებს ჯარგვალის და პიტაფიცარას გვერდით ან უკან მიდგმულ პატარა ოთახში ათავსებდნენ, რომელსაც მოდგიმილი ეწოდებოდა [ხარჩილავა, 2016:124]. საქორწინო წყვილების მომატებასთან ერთად საცხოვრებელ კომპლექსსაც ემატებოდა მოდგიმულები. ხდებოდა ისეც, რომ მათ მაღაზა-სასიმინდში ან ბოსელში ათავსებდნენ. მაღაზა იყო ბოძებზე შემდგარი, რომელსაც მრგვალი ხის მორებით აშენებდნენ. ქვევით ცოლ-ქმარი თავსდებოდა, ხოლო ზევით სასიმინდე იყო. ამას „ჯიხურა მაღაზას“ უწოდებდნენ. აფხაზებში [Джанашиа, 1917:193; Званба, 1955:60; Малия, Акаба, 1982:159; Бахия, 1986:23] ახალდაქორწინებულთათვის არსებობდა საწესო ნაგებობა - ამხარა. სამურზაყანოში ეთნოგრაფიული მასალებითა და წერილობითი წყაროების მიხედვით ვერ დავადასტურეთ საწესო ნაგებობა - ამხარა, თუმცა ადრე სამეგრელოში მის არსებობა გამორიცხული არ უნდა ყოფილიყო. ამხარა აფხაზურია და, ალბათ სამურზაყანოს მოსახლეობის იმ ნაწილში იყო გავრცელებული, რომლებიც გალის რაიონში

მურზაყან შარვაშიძემ ბზიფის ხეობიდან ჩამოასახლა. გაქართველების შემდეგ მათაც დაკარგეს ამხარასთან დაკავშირებული ჩვეულებები.

ნალია, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოში, სამურზაყანოს კარმიდამოშიც თვალში საცემი ნაგებობაა. ნალიას ოლაიტე//მაღაზა - სასიმინდეს უწოდებენ. ეს სახელი დაახლოებით XVIII საუკუნიდან ჩნდება, როცა სიმინდის კულტურა შემოდის საქართველოში. სასიმინდე მრგვალი ხის მორებისგან ან ხის ფიცრებისგან მჭიდროდ ნაგები ორფერდა სათავსია, კრამიტით გადახურული, ბოძებზე შემდგარი. თანამედროვე ყოფაში ეზოში საბზადთან ახლოს ადგილია გამოყოფილი ოლაიტე//ნალია [Кипшидзе, 1914:286] - ნალია, სასიმინდესთვის, რომელსაც მაღაზა-საც უწოდებენ, ხოლო აფხაზურში – ა-მაღაზა [ჯანაშია, 1954:186]. ასევე ფიქსირდება ხულა „პატარა ბეღელი“ ცალკე მდგომი საკუჭნაო ან მარცვლეულის შესანახი შენობა [Кипшидзе, 1914:611] – ა-ხულა „ხორცისა და რძის პროდუქტების შესანახი შენობა“ [Бжания, 1962:137].

უკანა ეზოში მოთავსებული იყო: საორინჯო - საქონლის სადგომი ბოსელი. აგვარა - ბაკი, საქონლის უსახურავო სამწყვდევი, რომელსაც საქონლის საზაფხულო სადგომად იყენებდნენ. ბოსელში პირველ სართულზე საქონლის სადგომი იყო, ზევით კი სიმინდის ფუჩჩის შესანახი, რომელსაც ოფურჩე - საფუჩჩო ეწოდებოდა. თანამედროვე ყოფაში აგვარა საორინჯოს გაგრძელებაა, რომელიც გადახურულია, კედლების გარეშე. ბოსელთან ახლოს განთავსებულია ოსკი - საღორე. ოქოთომე//ოკარიე - საქათმე, ანუ ოთხ ბოძზე შემდგარი ოთხკუთხა მოწნული საქათმე, ისლით (ყავრით) გადახურული. რომელსაც მიდგმული ჰქონდა ჩართი [ჭარაია, 1997:155] - ხის კიბე. თანამედროვე ყოფაში ფიცრულია და საქათმეს უკანა მხარეს მიდგმულია ოგვაჯე - საბუდარი, სადაც ქათამი კვერცხს დებს. კარმიდამოს ფარგლებშია მოქცეული საბოსტნე ფართობი ორტვინი - ბოსტანი.

საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ნაწილების აღმნიშვნელ ლექსიკაში უმრავლესობა ნასესხებია. სესხება ორივე მიმართულებით მიმდინარეობს, მაგრამ განსხვავებული ინტენსივობით. ქართველურიდან (მეგრულიდან) აფხაზურში ნასესხობა დომინირებს საყოფაცხოვრებო, სამეურნეო ნაგებობებთან დაკავშირებული ტერმინებში [ჭარაია, 1997:155; ბუკია, 2013:279; Шакрыл, 1987:414]

თ. გვანცელაძე შენიშნავს, რომ არ შეცვლილა XX საუკუნის პირველი ნახევარში ჩამოყალიბებული აფხაზური სოფლის გარეგნული იერი. ყოველი აფხაზური სოფელი გადაშლილია საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე (ზუსტად ისე, როგორც ეს დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოს ბარის სხვა რეგიონებისათვის), რასაც განაპირობებს გლეხის ეზოს სპეციფიკა: ეზო შემოზღუდულია ხის, ან ლითონის მესრით, აქვს ალაყაფის ჭიშკარი, სამეზობლო ალაგე, ფართო ეზოს წინა ნაწილში დარგულია საჩრდილობელი ხეები, ან გაშენებული ვაზის ტალავერი, ხშირად აქვე თესვენ კოიდარს, სახლის უკან არის ბოსტანი, ხილის ბაღი და/ან ყანა. აგრეთვე მცირეასაკოვანი, ან მაკე საქონლის მოცრო სამოვარი (ახკაარა) მეგრული ხაკარა. სახლის გვერდით დგას ერთსართულიანი სამზადი და ავტომანქანის „გარაჟი“, სახლის უკან კი - დამხმარე ნაგებობები: ფაცხა ხორცისა და ყველის შესაბოლად, საქათმე, სასიმინდე, ბოსელი... საცხოვრებელი სახლები ძირითადად ქვის, აგურის, ან ბეტონის ბლოკისაა ისინი უპირატესად ორსართულიანია და სტილითა და ფუნქციებით ჰგავს სამეგრელოში გავრცელებულ სახლებს [გვანცელაძე, 2011:521-522]. დავძენთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალებით თანამედროვე ყოფაში საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებთან დაკავშირებით დღემდე, არაფერი შეცვლილა, რადგან აფხაზეთში საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობის არათუ განვითარება და მშენებლობები მიმდინარეობს, არამედ XX საუკუნის პირველი ნახევარში დაფიქსირებული ნაგებობების უმრავლესობა განადგურებულია.

ამრიგად, საცხოვრებელი და სამეურნეო სტრუქტურა, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, მეპატრონის მხრიდან უწყვეტად განიცდის გადაკეთებას, რის გამოც რთულდება ათწლეულების წინ აღწერილობის ფონზე კონკრეტულ ლოკალურ არეალში ნაგებობების მოძიება. დღეს ამ საკითხის აქტუალობა მით უფრო საინტერესოა იმ გარემოებების ფონზე, რომ გალის რაიონი კონფლიქტის ზონაშია, სადაც ქართველთა გენოციდის შედეგად გადაწვეს მთელი რაიონი, რაც ართულებს ტრადიციული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობის ნიმუშების მიკვლევას. ნაგებობების მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა, რადგან წლების განმავლობაში საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები გადამწვარია ან მიტოვებულია და ნადგურდება. საცხოვრისის და სამეურნეო ტიპების გაქრობასთან ერთად

თანდათანობით იკარგება სამშენებლო გამოცდილება, რაც საუკუნეების განმავლობაში დაგროვდა.

### ლიტერატურა:

1. ასედ - ავტორის საველე-ეთნოგრაფიული დღიური 2022-2024 წლები
2. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938
3. ბახია-ოქრუაშვილი ს., პატრონიმის იდეოლოგიური ურთიერთობის საკითხისათვის აფხაზეთში ძველად, წიგნი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1982
4. ბახია-ოქრუაშვილი ს., აფხაზთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები, თბ., 2010
5. ბახია-ოქრუაშვილი ს., აფხაზთა ეთნოლოგია, თბ., 2011
6. ბახია-ოქრუაშვილი ს., ქართველთა და აფხაზთა დასახლების ფორმა და მატერიალური კულტურა, თბ., 2022
7. ბერიძე ვ., ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, ტ. I, თბ., 2014
8. ბოროზდინი კ., სამეგრელო და სვანეთი, თბ., 1934
9. ბუკია მ., ნარკვევები ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობის ისტორიიდან, ნაწილი პირველი, თბ., 2013
10. გვანცელაძე თ., აფხაზური ენა (სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება), თბ., 2011
11. გულია დ., ქართულ-მეგრულ-აფხაზური ლექსიკონი, „მახარია“, №1, თბ., 2004
12. გუგუშვილი მ., ახალი ტრადიციები საქართველოში, თბ., 1976
13. დევიძე ნ., სოფლის მეურნეობის განვითარება და განლაგება აფხაზეთის ასსრ-ში, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XXIV, 1996
14. დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე, თბ., 1964
15. დონ ქრისტოფორო დე კასტელო, ცნობები და აღბოძი საქართველოს შესახებ, თარგმნა, გამოკვლევები და კომენტარები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბ., 1976
16. თოფურია ნ., ახალი საცხოვრებელი ნაგებობანი სამეგრელოში, კრ: „საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები“, თბ., 1968
17. თოფურია ვ., ქალდანიმ., სვანური ლექსიკონი, თბ., 2000

18. კვაშილავა ი., ისტორიული სამურზაყანოს ძველი საცხოვრებელი ნაგებობანი, ეთნოკულტურული ეტიუდები, თბ., 2018
19. ლეკიაშვილი ან., მარანი, კრ: „საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი“, თბ., 1980
20. ლეჟავა ს., ოდა-სახლის, როგორც ქართულ-აფხაზური ერთობის სიმბოლო, ძეგლის მეგობარი, №2, თბ., 1997
21. ჟან შარდენის მოგზაურობ სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, თბ., 1975
22. სახოკია თ., მოგზაურობანი, თბ., 1985
23. ქალდანი ა, ქართული ტრადიციული საცხოვრებლის ტიპოლოგოსათის, ძეგლის მეგობარი, №2, თბ., 1990
24. ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბ., 2001
25. ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II-III, თბ., 2002
26. ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1950-1964
27. ღლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984
28. ჭარაია პ., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997
29. ხარჩილავა ნ., ქორწინება და საქორწინო ტრადიციები ისტორიულ სამურზაყანოში, თბ., 2016
30. ჯავახიშვილი ივ., მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის, ტ. I, აღმშენებლობა და ავეჯი, თბ., 1976
31. ჯანაშია ბ., აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1954
32. Бахия С., Абхазская „Абипара“ - патронимия, Тб., 1986
33. Бжания Ц. Н., Из истории хозяйства абхазов. Этнографические очерки. Сух., 1962
34. Джанашия Н., Абхазский культ и бытъ, ХВ, т. V, вып. III, Тф., 1917
35. Дзидзария О. П., Морская лексика в абхазском языке, Сух., 1989
36. Званба З. Т., Этнографические этюды, Сух., 1955
37. Касландзия В. А., Абхазско-русский словарь, т. II, Сух., 2005

38. Кипшидзе И. А., Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем. С-ПБ, 1914
39. Малиа Е. М., Акаба Л. Х., Одежда и жилище абхазов, Тб., 1982
40. Робакидзе А. И. Поселение как источник изучения общественного быта, М. 1964
41. Шакрыл К. С., Конджария В. Х, словарь абхазского языка, т. I, Сух., 1986
42. Шагиров А. К., Заимствованная лексика абхазско-адыгских языков. М., 1989



**RESIDENTIAL AND AGRICULTURAL BUILDINGS  
(BASED ON THE ETHNOGRAPHIC MATERIALS OF THE GALI  
REGION)**

**Nino Kharchilava**

Doctor of History, Senior Researcher, Scientific Secretary of the Institute of Ethnology named after Academician Giorgi Chitaia of the Tskhum-Abkhazian Academy of Sciences, LEPL – Batumi Art State Teaching University, Head of Teaching Process Management Department  
E-mail: kharchilavanin@gmail.com

*Presented by the Institute of Ethnology named after Academician Giorgi Chitaia of the Tskhum-Abkhazian Academy of Sciences*

**Abstract.** The study of the existence and culture of the population in the Gali district is quite fascinating. One exciting aspect involves exploring the traditional dwellings and agricultural buildings used by the people. A unique type of housing was developed based on the geographical environment, natural climate, and leading branches of agriculture in different parts of Georgia. Initially, these housing and agricultural structures were primitive, but they became more complex and sophisticated over time. Regardless of how primitive the dwelling was, it had a significant function in providing the family with a social unit that included various storage facilities for defense and existence. Housing, being the area of action for the person living in it, constantly changed depending on the era's needs. As different stages of development deepened life experience, new elements were added to the residential complex, while some traditional and solid forms were missing.

The relevance of this issue is even more significant in light of the conflict zone in which the Gali district is situated. The entire district was burned down as part of the Georgian genocide, making it challenging to trace traditional residential and commercial building patterns. The condition of the buildings is quite severe because, over the years, residential and agricultural structures have been burned, abandoned, and destroyed. As residential and commercial building types disappear, centuries of accumulated construction experience are gradually lost.

In modern Abkhazia, the Georgian population is most numerous represented in the Gali region. Studying the existence and culture of the population in this region and getting to know the traditional housing and agricultural buildings provides an interesting picture.

The paper aims to present the Gali region's surviving farming and agricultural buildings based on ethnographic material. During the fieldwork, precise information was collected from the local population, which was still preserved in their memory and represented an ethnographic and architectural historical source.

Thus, studying residential and economic buildings is crucial in understanding the public relations between Georgia and Abkhazia. It's essential to identify the similarities and differences between them. Natural geographical and climatic environmental conditions play a significant role in determining these differences and similarities since the choice of construction material depends on them. Due to the cultural-historical unity of the Georgian-Abkhaz population, some borrowing and mutual sharing of certain elements could have occurred. This is evident in examples of borrowing terms from Georgian (Megrelian) to Abkhazian and vice versa. The influence of culture and history also shaped the construction forms of residential and economic buildings, which had to preserve their specific character and traditional form. The internal functional planning of housing and the layout system of the rooms in the residential buildings of the Gali district show similarities with urban housing.

**Keywords:** *Abkhazia, residential and agricultural buildings, homestead.*